



**სამოქალაქო მონიტორინგი საქართველოში**

**გორქშოპი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა  
საერთაშორისო დონორების წარმომადგენელთა მონაწილეობით**

**თბილისი, საქართველო  
სასტუმრო მერიოტ ქორთიარდი “Ballroom” დარბაზი**

**26 თებერვალი, 2007**

**ცალკეული გამოსვლები**

**ქეთი ბაქრაძე, USAID**

კითხვა ეხება მონიტორინგის შედეგებს. ითქვა რომ ამ პროცესის არც ერთი მონაწილე არ არის დაინტერესებული რეკომენდაციების გაცნობით.

როდესაც მონიტორინგის შედეგად რეკომენდაციები არის გამოქვეყნებული და ეს არავის არ აინტერესებს, მათ შორის არც მედიას. რა ტიპის ქმედებები არის ყველაზე ეფექტური ამ სიტუაციაში. **დავით ნარმანია. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია** არის ორ მთავარი მომენტი. არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი მიზნებიდან და მისიიდან გამომდინარე არჩევენ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას და არიან ორგანიზაციები რომლებიც ორიენტირებული არიან ხელისუფლების კრიტიკაზე და დარღვევებზე საზოგადოების ფართოდ ინფორმირებაზე.

თუმცა ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა უმეტესობა აღიარებს რომ თუ ადგილი აქვს მექანიკურ გადაცდომებს ასეთ დროს უმჯობესია ხელისუფლებას მივუთითოთ შეცდომებზე და მივცეთ გარკვეული რეკომენდაციები, ხოლო თუ დარღვევები წინასწარ განზრახულია და მუდმივად მეორდება მაშინ სჯობია მივმართოთ აქტიურ კამპანიებს. ძალზედ ცოტაა შემთხვევები დაახლოებით 10% როდესაც ხელისუფლება ითვალისწინებს არასამთავრობოთა რეკომენდაციებს. ზოგ შემთხვევაში ითვალისწინებენ თუმცა ისე როგორც თვითონ უნდათ. ზოგ შემთხვევასი საკმაოდ კარგად მიწოდებულმა რეკომენდაციამ შეიძლება ხელისუფლება მიახვედროს რომ ისეთი ფორმულირება შეიტანონ კანონში ან კანონქვემდებარე აქტში, რომელიც გაუადვილებს მათ მუშაობას და კიდევ უფრო დახურავს ან შეავიწროვებს საჯარო ინფორმაციის გაცემას. ანუ წარმატებულმა რეკომენდაციამ ზოგჯერ გამოიწვია საპირისპირო შედეგი.

დღეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ადგილობრივი სტრუქტურები დაკომპლექტდა კადრები რომლებიც კარგად ვერ არიან გარკვეული სამოქალაქო მონიტორინგის საკითხებში

**ლევან გოგიჩაიშვილი, თანასწორობის ინსტიტუტი**

გამოიკვეთა სამოქალაქო მონიტორინგთან დაკავშირებული პრობლემები ესენი არიან ინსტიტუციური პრობლემა, პოლიტიკური ნების არქონა და საკანონმდებლო შეზღუდვები. არსებობს პრობლემები მედიასთან დაკავშირებით. ძალიან მნიშვნელოვანია საპარლამენტო კენჭისყრების მონიტორინგი განსაკუთრებით სამომავლო არჩევნებისათვის რადგანაც თვითოეულ დეპუტატს, განსაკუთრებით მაჟორიტარულ ოლქებში მოუწევს თავის ამომრჩევლის წინაშე წარდგომა. თუ საზოგადოება და არასამთავრობოები გააქტიურდებიან მედიის მიერ გაშუქების პრობლემა არ იქნება.

**გიორგი გაბრიელაშვილი, სამოქალაქო განათლების ახალგაზრდული ცენტრი**

დავით ნარმანიას მინდა არ დავეთანხმო იმ ნაწილში, რომ ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრებისას ჩამომიყალიბდა აზრი რომ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები თითქოს ეგუებიან იმას რომ მათი რეკომენდაციები არ სრულდება. მათ უმეტესობას არა აქვთ ჩამოყალიბებული ხედვა თუ მის შემდეგ რა უნდა გაკეთდეს რა ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს, რა ზეწოლა უნდა მოახდინონ ამ რეკომენდაციების შესასრულებლად. ყველაფერი იფარგლება კონფერენციით, მედიის და ხელისუფლების წარმომადგენლების დასწრებით და რეკომენდაციების გაგზავნით საჯარო დაწესებულებაში, რომლებსაც არ ასრულებენ. ამ მიმართულებით თუ სამოქალაქო სექტორის მიდგომები არ შეიცვალა, პრაქტიკულად არ არსებობს შანსი რომ მისი რეკომენდაციები შესრულდება. ეს არის ძალიან პრინციპული აკითხი როგორ უნდა მოვახდინოთ ამის უზრუნველყოფა.

მეტიც, როდესაც მონიტორინგს ვატარებთ და რაღაც დიდ მიზანს ვისახავთ, არ ჩანს კავშირი მონიტორინგის მიზანსა და შედეგს შორის. არის დიდი მოლოდინი მონიტორინგისაგან და არა გვაქვს დაგეგმილი ის ღონისძიებები რამაც ამ მიზნებამდე უნდა მიგვიყვანოს. რაც შეეხება კოალიციურ მუშაობას აქ ცოტა ფრთხილი მიდგომაა საჭირო. თვითონ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც კოალიციის საჭიროებაზე საუბრობენ, აღიარებენ რომ კოალიცია ყოველთვის არ არის ეფექტური, ამიტომ ეფექტური ფორმების მოფიქრებაა საჭირო. შექმნილა ბევრი კოალიციები და შედეგი ყოფილა არასასურველი. ერთის მხრივ კოალიცია საჭიროა, თუმცა არავინ იცის რა კომუნიკაცია უნდა იყოს ამ კოალიციის შიგნით. დიდი კოალიციები ხშირად არ ამართლებს. გასარკვევია, კოალიციამ ერთად უნდა ატაროს მონიტორინგი თუ მონიტორინგის ლობირებაში უნდა მიიღოს ერთობლივი მონაწილეობა.

**დავით ნარმანია. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია** კოალიციას აქვს თავის პლუსები და მინუსები. კოალიციის დადებითი მხარეა ის რომ როდესაც იქ გაერთიანებული არიან სხვადასხვა სპეციფიკის მქონე და სხვადასხვა გამოცდილების მქონე ორგანიზაციები ისინი სხვადასხვა სფეროში მუშაობისას ერთმანეთს ავსებენ და რომელიმე სფეროს შესწავლისას მონიტორინგი უფრო სიღრმისეულად ხდება და იქ მონიტორინგის შედეგი გაცილებით უფრო ეფექტურია ვიდრე ერთი ან ორი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული.

ზოგადად კოალიციის მცირედ უარყოფითი მხარეა ის რომ კოალიცია არ არის იურიდიული პირი არამედ იურიდიულ პირთა გაერთიანება. იგი ვერ წარდგება ამ სახით დონორების წინაშე. შაბოლოოდ კოალიციურ მუშაობას სამოქალაქო მონიტორინგში უფრო მეტი აქვს დადებითი ვიდრე უარყოფითი.

**ლევან ხარატიშვილი. სამოქალაქო ინიციატივების ცენტრი** კოალიცია საჭიროა თუნდაც იმიტომ რომ ეს არის განსხვავებული რესურსების ერთობლიობა ხდება კოორდინირება ორგანიზაციების რომლებსაც ვიწრო სფეროში უფრო მეტი გამოცდილება აქვთ. ყველაზე დიდი საჭიროება დღეს არის ინფორმაციის ვაკუუმის ამოვსება, ინფორმაცია არ ვრცელდება იმდენად ეფექტურად, თუნდაც იგივე მონიტორინგზე როგორც პარტნიორი ისევე დაინტერესებულ მხარეთა შორის. უნდა შეიქმნას ერთიანი საინფორმაციო ველი რაც დაგვეხმარება მონიტორინგის უკეთ კოორდინაციაში.

**ლაშა ჩხარტიშვილი. თანასწორობის ინსტიტუტი** მთავარია რომ კოალიციაში იყოს ფუნქციების რეალური განაწილება და არა დუბლირება, იმის მიხედვით ვის რა გამოცდილება აქვს, რაც იქნება წარმატების ერთ-ერთი წინაპირობა. რაც შეეხება იმას რომ მონიტორინგის შედეგები არ არის საინტერესო საზოგადოებისათვის, მედიასათვის და სხვა მონაწილეებისათვის, აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თუ როგორ მივაწოდებთ ამ საკითხს. თუ მიწოდების ფორმა იქნება საინტერესო, თუნდაც ნაკლები აკადემიურობის ხარჯზე, შეიძლება ნებისმიერი თემის აქტუალიზაცია.

**ირაკლი სესიაშვილი. თავისუფლება და სამართალი** თვითოეული არასამთავრობო სამოქალაქო მონიტორინგის განხორციელებისას ქმნის საკუთარ პროდუქტს და მთავარია როგორ მოვახდენთ ჩვენ მის “გაყიდვას.” ჩვენი ძირითადი პარტნიორი არის მას-მედია და პრობლემა იმაში მდგომარეობს რომ დღეს არ არის საკმარისი თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორსა და მასმედიას შორის, რის გამოც საზოგადოება არასაკმარისად არის ინფორმირებული და შესაბამისად ხელისუფლება უფრო მეტად ახერხებს საკუთარი ინფორმაციის გაყიდვას ვიდრე არასამთავრობოები. სამოქალაქო მონიტორინგის მიზნები რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ არანაირად არ შეცვლილა, ისინი იგივე დარჩა ვინაიდან არასამთავრობო სექტორს ყოველთვის ჰქონდა მიზანი ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე ზედამხედველობა. შეიცვალა სტრატეგია და მთავარია შევიმუშავოთ სტრატეგია რომ მონიტორინგი იყოს ეფექტური.

**ქეთი გაშაკიძე. ევრაზიის ფონდი** გამოსვლებიდან გამომდინარე გამოიკვეთა სამოქალაქო მონიტორინგის ახალი სტრატეგიების შემუშავების საჭიროება იმ ახალი გარემოებების გათვალისწინებით რაც ბოლო დროს წარმოიშვა და რომ ამ კუთხით რაღაც დახმარება იყოს გაწეული (მაგ. თრენინგები). როდესაც სტრატეგიების შემუშავებაზე ვლაპარაკობთ ისინი უნდა იყოს მაქსიმალურად მიზნობრივი ორიენტირებული ინტერესთა ჯგუფებზე.

**ქეთი ბაქრაძე, USAID.** ამ ბოლო დროს ხმარებაში ინტენსიურად შემოვიდა ტერმინები “საზოგადოება” “საზოგადოების ჩართულობა” საზოგადოება არის ძალზედ ზოგადი ცნება. ისმის კითხვა ვის მივმართავთ? ვინ შეადგენს საზოგადოებას. როდესაც რაღაცას ვიწვევთ ეს ორმხრივი პროცესია. პირველი: რამდენად კარგად ვიცით რა უნდა ხალხს. მეორე” როდესაც რაღაცას ვაკეთებთ ვის ვაწვდით ინფორმაციას ამის თაობაზე ზოგადად მოსახლეობას თუ რომელიმე კონკრეტულ ჯგუფს? როგორ ვირჩევთ იმ ხალხს ვისაც უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია, იმიტომ რომ მარტო ინფორმაციის მიწოდება ბევრს არაფერს ნიშნავს ამას რაღაც შედეგი უნდა მოყვებოდეს.

### **ჯგუფური დისკუსიების შედეგების წარმოღობა**

ჯგუფი № 2 *სამოქალაქო მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა და მოქალაქეთა გაცნობიერების დონე*

**რევაზ საყვარიშვილი ჯგუფის სპიკერი.**

#### **ძლიერი მხარეები**

1. ცოდნა/გამოცდილება
2. განხორციელების ინსტრუმენტარიუმის ცოდნა
3. იმ გზების ცოდნა რაც დაკავშირებულია იმ გზების ცოდნა რაც საინტერესო ინფორმაციის მოძიებას უკავშირდება
4. არასამთავრობო სექტორში სხვა ინტრესთა ჯგუფებისგან განსხვავებით, თავმოყრილია ძლიერი საექსპერტო რესურსი, მაგრამ მწირია ადამიანური რესურსი (ფიზიკური, ხარისხობრივი)
5. სანდოობა, რაც ეყრდნობა საექსპერტო რესურსის სიძლიერეს და წლებით დაგროვილ რეპუტაციას

#### **სისუსტეები**

- სპეციალიზაციის საკითხი, ზოგი ნჯო ცდილობს გაიფართოვოს სპეციალიზაცია რაც მას ხელს უშლის თავდაპირველად არჩეული მიმართულების ათვისებაში
- საფრთხეში გარდამავალი სისუსტე დისბალანსი დედაქალაქისა და რეგიონის ორგანიზაციებს შორის
- პიარ სტრატეგიების დეფიციტი, რაც იწვევს იმას რომ ხშირად კარგად განხორციელებული აქტივობების დიდ ნაწილი საბოლოო მომხმარებელამდე ვერ დადის
- საზოგადოებაში დაბალი ნდობა ზოგადად არასამთავრობო სექტორის მიმართ, ზოგი მათგანის პოლიტიკური ანგაჟირებულობის და პოლიტიკურ ძალებთან ინტეგრაციის გამო, რაც უკვე საფრთხეში გადადის
- არამდგრადობა და სპონტანურობა
- არასამთავრობო ორგანიზაციების სახით ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალებთან აფილირებული სატელიტი ჯგუფების არსებობა
- არამკაფიო ზღვარი მონიტორინგსა და ადვოკატირებას შორის

## საფრთხეები

- კომუნიკაციების და პიარ ტექნოლოგიების უქონლობა
- ნეიტრალურობა პოლიტიკურ ჯგუფებთან მიმართებაში
- ნდობის მოფრთხილება
- დონორების ინტერესების უფრო მეტად მიმართვა სახელმწიფო სტრუქტურებზე და ყურადღების მოკლება საზოგადოებრივ სექტორისათვის, რომელიც უნდა იყოს ხელისუფლების სამოქალაქო მონიტორინგის განმახორციელებელი თუ სიტუაცია არ შეიცვალა
- კონფორმიზმი, რის გამოც არასამთავრობო სექტორის ერთი ნაწილი გაცილებით ლოიალურია ხელისუფლების ცალკეული სტრუქტურების ან კონკრეტული ხელისუფალის მიმართ
- სათანადო ინფორმაციის ნაკლებობა რომელმაც უნდა უზრუნველყოს მონიტორინგის მთლიანობა და ერთიანი სურათის შექმნა
- ინტეგრაციის ნაკლებობა სამოქალაქო სექტორს შიგნით და რეგიონულ ჭრილში

## შესაძლებლობები

- ძლიერი საექსპერტო რესურსი და გამოცდილება აჩენს იმის შესაძლებლობას რომ მოხდეს შესაბამისი პრობლემის მოგვარების ინიცირება
- სანდოობის ფაქტორი აჩენს შესაძლებლობას რომ მოხდეს საზოგადოების და ინტერესთა ჯგუფების უფრო მეტი ინტეგრაცია ჩართულობა (რაოდენობრივი, გეოგრაფიული კუთხით) და გაიზარდოს პრობლემების მოგვარების ალბათობა
- ძლიერი საექსპერტო რესურსი და გამოცდილება ქმნის იმის შესაძლებლობას რომ მონიტორინგის პროცესი იყოს მდგრადი, ეფექტური და შეუქცევადი
- მდგრადობის ელემენტის შემოტანა. სპონტანურობის და არათანმიმდევრულობის გაანალიზებით შეიძლება ეს პრობლემა იყოს მეტნაკლებად აღმოფხვრილი და გაიზარდოს მდგრადობის კოეფიციენტი
- სავალდებულოა კონტაქტების იდენტიფიცირება არა მხოლოდ მედიასთან არამედ ყველა ინტერესთა ჯგუფთან (მაგ. ბიზნესი, თემატური ასოციაციები)
- ყველა სამოქალაქო მონიტორინგის აქტივობის დროს რეგიონული ფაქტორის აუცილებელი გათვალისწინება, განსაკუთრებით კოალიციური მუშაობისას.

**ჯგუფი №3 სამოქალაქო მონიტორინგი, მიდგომები, ტექნიკა,  
მეთოდოლოგია  
დავით ნარმანია, ჯგუფის სპიკერი**

**სიძლიერებები**

- მონიტორინგის თემის სწორად შერჩევა (*კორუფციის მაღალი ალბათობა, საზოგადოების მაღალი ინტერესი*)
- მაღალკვალიფიციური კადრები
- ნდობა და ცნობადობა. ეს ორგანიზაციები ძირითადად ქმნიან ამინდს სამოქალაქო მონიტორინგის სფეროში და მათ მიერ ჩატარებული მონიტორინგი არის კვალიფიციური
- კოალიციურობა
- აპრობირებული მეთოდოლოგიის არსებობა და მისი მუდმივი დახვეწა რაც ეხმარებათ მონიტორინგის პროდუქტიულად განსორციელებაში, განსხვავებით იმ ორგანიზაციებისგან, რომლებმაც პირველად დაიწყეს ამა თუ იმ სფეროს მონიტორინგი და არ გააჩნიათ ჩამოყალიბებული მეთოდოლოგია
- 

**სისუსტე**

- მონიტორინგის თემის არასწორად შერჩევა (*მაგ. მწირი ექსპერტული და ადამიანური რესურსის და გამოცდილების მქონე ორგანიზაცია მონიტორინგის თემად ირჩევს ისეთ რთულ თემას როგორც არის სახელმწიფო ბიუჯეტი ან სოციალური სფერო*)
- მონიტორინგის თემის არასწორი შერჩევის ცუდი შედეგები
- ექსპერტთა არასაკმარისი კვალიფიკაცია ან მიკერძოებულობა (*აღიანსი რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან ან ინტერესთა ჯგუფთან*)
- მონიტორინგის საქმიანობის წყვეტადობა უარყოფითად ისახება შედეგებზე (*დაფინანსების შეწყვეტის, ორგანიზაციის შიდა პრობლემების ან სხვა მიზეზების გამო*)
- დისბალანსი ცენტრსა და რეგიონს შორის, ნაკლები ინტერესი რეგიონში მონიტორინგის ჩატარებისადმი
- მონიტორინგის ჩატარების ალტერნატიული ვარიანტების არარსებობა, (*მაგ. ინფორმაციის მიღება ალტერნატიული წყაროებიდან*)
- ხარვეზები ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლაში, სუსტი კომუნიკაცია (*მაგ. როდესაც ერთ თემაზე ორი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგები საგრძნობლად განსხვავდება და ხელისუფლებას აძლევს საფუძველს ეჭვქვეშ დააყენოს ასეთი მონიტორინგის სანდოობა*)

- არ არის განსაზღვრული სამიზნე ჯგუფები, და არ ხდება მათი სათანადო ინფორმირება ანუ ვის უნდა მიეწოდოს მონიტორინგის შედეგები.

### საფრთხეები

- არასამთავრობოებიდან ხელისუფლებაში გადასულმა კვალიფიცურმა კადრებმა კარგად იციან არასამთავრობო ორგანიზაციის მუშაობის პრინციპები და მეთოდები და ისინი ყოველთვის ცდილობენ ამისგან თავი დაიციონ რომ არ მისცენ არასამთავრობებს საკითხის ლაბირინთებში გარკვევა
- თემის აქტუალობის დაკარგვა, როდესაც გვიანდება საჯარო ინფორმაციის მიღება, ჭიანჭურდება სასამართლო პროცედურები, დროის გაწელების გამო იკარგება თემის აქტუალობა და აზრი ეკარგება მონიტორინგს ან ის ფორმალურად ხორციელდება და ნაკლებად შედეგიანია
- ინტერესთა ჯგუფების გაძლიერება. სოლიდარობის დეფიციტი. თუ ადრე ერთი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული სამოქალაქო მონიტორინგის მიმართ სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერა იყო უფრო გამოხატული, დღეს ეს მხარდაჭერა შესუსტებულია და მონიტორინგის განმხორციელებელი ორგანიზაციები თავიანთი თავის ამარა რჩებიან და მარტო ახდენენ მონიტორინგის შედეგების დაყვანას ბენეფიციარებამდე
- ვარდების რევოლუციის შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრაციის ტემპმა იკლო რაც ინდიფერენტული დამოკიდებულებით შეიძლება აიხსნას
- პრობლემები სასამართლოს სისტემაში
- ვარდების რევოლუციის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსები, კერძოდ დონორთა მიერ დაფინანსება, რომელიც ძირითადად მიიმართება ხელისუფლებისაკენ
- დონორებს შორის სუსტი კოორდინაცია პროგრამების გადაფარვა დაუბლირება

### შესაძლებლობები

- მედიის მობილიზება სამიზნე ჯგუფისთვის მონიტორინგზე და მის შედეგებზე ინფორმაციის მისაწოდებლად
- მონიტორინგის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ფორმის და შინაარსის დახვეწა და გაუმჯობესება საზოგადოების და მედიის დაინტერესების მიზნით